

ერთი მხრივ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი შარკოვის სახით, და მეორე მხრივ - შპს „ჯი-თი გრუპ“ (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №216) წარმოდგენილი დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ კონსოლიდირებული ტენდერის CON210000330, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე „2021-2022 წლების განმავლობაში ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის №826 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.
- 1.7 „სატენდერო კომისია“ - 2021-2022 წლების განმავლობაში ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის №826 განკარგულების საფუძველზე, შექმნილი სატენდერო კომისია.
- 1.8 სატენდერო დოკუმენტაცია - კონსოლიდირებული ტენდერის (CON210000330) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

- 2.1. ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსების (შემდგომში - ავტობუსი) (CPV - 34100000) სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (CON210000330) სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პარამეტრებს.
- 2.2. შესყიდვის ობიექტია 180 (ასოთხმოცი) ერთეული ავტობუსი.
- 2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება დანართი №1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 21'289'768.20 (ოცდაერთი მილიონ ორასოთხმოცდაცხრა ათას შვიდასამოცდარვა ევრო და ოცი ევროცენტი) ევრო.
- 3.2. ერთეული ავტობუსის ღირებულებაა 118'276.49 (ასთვრამეტი ათას ორასამოცდათექვსმეტი ევრო და ორმოცდაცხრა ევროცენტი) ევრო.
- 3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის ავტობუსის მიწოდების უზრუნველყოფა მიმწოდებლის ხარჯებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადის, მოსაკრებლის ჩათვლით, მათ შორის, განმარტებისა და სახელმწიფო რეგისტრაციის (შემსყიდველზე გადაფორმებისა და სტანდარტული ფასის სახელმწიფო სანომრე ნიშნების ჩათვლით) ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადები და ადგილი

- 4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 4.2. შემოთავაზებული ავტობუსები უნდა იყოს:
 - ა. ერთი და იმავე ბრენდის და მოდელის;
 - ბ. ახალი;
 - გ. არაუადრეს 2021 წლის გამოშვების;
 - დ. მარცხენა საჭიანი;
 - ე. ექსპლუატაციაში არმყოფი;
 - ვ. მიწოდებისას გარბენი არაუმეტეს 6000კმ;
 - ზ. ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.
- 4.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად (პარტიებად), კერძოდ 30 ერთეული ავტობუსის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 120 კალენდარული დღის ვადაში, შემდეგი 60 ერთეული ავტობუსის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 200 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დანარჩენი 90 ერთეული ავტობუსის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 270 კალენდარული დღის ვადაში.
- 4.4 მიღების დროს ავტობუსზე გამოვლენილი წუნის/დეფექტის/ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია მოცემული პარტიის მიწოდების საბოლოო ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით

„შემსყიდველი“
 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
 გიორგი შარკოვი
 გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
 შპს „ჯი-თი გრუპ“
 თემურ უსტიაშვილი
 დირექტორი

წუნის/დეფექტის/ხარვეზის მქონე ავტობუსი. ამასთან, პარტიის მიწოდების ვადის გადაცილებისთვის შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული საწესი.

4.5. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილ(ებ)ია: ქ. თბილისის მასშტაბით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ ადგილზე.

4.6. საქონლის საგარანტიო მომსახურების ვადები განსაზღვრულია დანართი №3-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.7. ავტობუსის სრული გარანტიის (არანაკლებ 200'000 კმ გარბენი ან არანაკლებ 24 თვე (რომელიც ადრე დადგება)) მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ყველაწიერი დეფექტი ან/და დაზიანება უნდა გამოსწორდეს ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრში ან მწარმოებლის მიერ ლიცენზირებული პერსონალის მეშვეობით №1 ავტობუსის სერვისცენტრში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღის განმავლობაში. ავტობუსის სრული გარანტიის მოქმედების გასვლის შემდეგ, დანართი №3-ით განსაზღვრულ სხვადასხვა კომპონენტებზე ყველაწიერი დეფექტი ან/და დაზიანება უნდა გამოსწორდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს ყველა სახის ხარჯი ნებისმიერი დეფექტური ნაწილის მოწოდებასა და შეცვლაზე და სრულად შეასრულოს საგარანტიო პირობებით დაკისრებული ვალდებულება.

4.8. სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, საგარანტიო შემთხვევაში ავტობუსის მუშა პროცესში დაზიანებისას მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს ავტობუსის ტრანსპორტირება ავტორიზებულ/ლიცენზირებულ სერვისცენტრამდე ან/და №1 ავტობუსის სერვისცენტრში, შემსყიდველის შეტყობინებიდან არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში.

4.9. გარანტიის პერიოდში, მიმწოდებელი პასუხისმგებელია ავტობუსის ნებისმიერი სახის ტექნიკურ დეფექტზე/ზიანებაზე, რომელიც გამოწვეულია ავტობუსის შემადგენელი კომპონენტების წუნის გამო.

4.10. ავტობუსის გარანტიის პერიოდში მისი შეკეთება, მათ შორის ავტოსატრანსპორტო შემთხვევის (ავარია) დადგომის შემდეგ, უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ და ამან არ უნდა გამოიწვიოს თავდაპირველი გარანტიის ცვლილება.

4.11. საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაში მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ავტობუსების შესყიდვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა, საგარანტიო პერიოდში ტექ-მომსახურების გაწევისას გამოყენებული სათადარიგო ნაწილები და საცხებ-საპოხი მასალები უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) და მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული.

4.12. სრული საგარანტიო პერიოდის (არანაკლებ 200 000 კმ გარბენი ან არანაკლებ 24 თვე (რომელიც ადრე დადგება)) განმავლობაში ავტობუსის გემიური ფლობის მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს CON210000330 კონსოლიდირებულ ტენდერში წარმოდგენილი დანართი N2-ში დაფიქსირებული ფასების შესაბამისად. მიმწოდებელმა გემიური ფლობის მომსახურების ჩატარება უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. ქვეპუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან: №1 ავტობუსის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; №2 ავტობუსის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; №3 ავტობუსის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; №1 ავტობუსის უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის და სერვისის საკითხებში/მოვალეობის შემსრულებელი; №2 ავტობუსის უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის და სერვისის საკითხებში/მოვალეობის შემსრულებელი; №3 ავტობუსის უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის და სერვისის საკითხებში/მოვალეობის შემსრულებელი; ავტოსერვისცენტრის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის IT ქსელების და სისტემების განყოფილების IT ქსელებისა და სისტემების სპეციალისტი/მოვალეობის შემსრულებელი; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მომსახურების ჯგუფის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი. ხოლო მიმწოდებლის მხრიდან გაყიდვების მენეჯერი ან/და ზეპალაშვილი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნადლო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

6.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის აუცილებელია 5.1 ქვეპუნქტში მითითებული მიღება- ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივი მიწოდების შესაბამისად, ამ ხელშეკრულების 6.1. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულად წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუადრეს 2022 წლის 15 თებერვლისა.

6.4. ავტობუსების შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნით, არაუმეტეს 18'000'000 (თვრამეტი მილიონი) ლარისა, საბოლოო ანგარიშსწორების სწორად განხორციელების მიზნით, ავანსის გადახდის დღეს შემსყიდველი ვალდებულია ეროვნული ვალუტით გადახდის თანხის ოდენობა მიმწოდებელს დაუფიქსიროს ევროში.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის საფუძველზე. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ევროში.

6.6. წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის

შემსყიდველი
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
გიორგი შარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ჯი-თი გრუპ“
თემურ უსტააშვილი
დირექტორი

მიწოდების საბოლოო ვადას.

6.7. ავანსის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სახით გადახდილი თანხის სრულად გამოქვითვის შემდეგ.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- ბ) აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოებისა და მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მონიტორინგი. მათ შორის ავტობუსების მიწოდებამდე განახორციელოს მათი წინასწარი დათვალიერება მწარმოებელთან, შესყიდვის ობიექტის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან/და მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგარანტიო მომსახურების პერიოდში აღმოჩენილი ნაკლი ან დეფექტი გამოსწოროს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში;
- გ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;
- დ) უზრუნველყოს ავტობუსის უკან გაწვევა იმ შემთხვევაში თუ ავტობუსის მწარმოებელი ქარხანა საწარმოო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ავტობუს(ებ)ის უკან გაწვევის მიზნით;
- ე) 7.2 პუნქტის ბ. ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შემსყიდველის წარმომადგენლ(ებ)ის დაშვება მწარმოებელთან.
- ვ) მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ განახორციელოს დადგენილი ავტობუსის გეგმიური ფლობის ფარგლებში იმ კომპონენტების შეცვლა ან/და მომსახურება, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული CON210000330 კონსოლიდირებულ ტენდერში წარმოდგენილი დანართი N2-ში განსაზღვრულ გეგმიური ფლობის ღირებულებაში, თუმცა მწარმოებლის მიერ განსაზღვრულია საგარანტიო პერიოდში გეგმიური ფლობის კომპონენტ(ებ)ად.
- ზ) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ავტობუსების უკან გაწვევა იმ შემთხვევაში, თუ ავტობუსების მწარმოებელი ქარხანა საწარმოო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს ავტობუსების უკან გაწვევით ხარვეზ(ებ)ის აღმოფხრის მიზნით.
- თ) მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი ავტობუსის შემოყვანამდე, შემსყიდველის მიერ უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემულ ტერიტორიაზე (შენიშნა-ნაგებობა) (№1 ავტობუსა) საკუთარი სახსრებით მოაწყოს სერვისცენტრი შესაბამისი აღჭურვილობით (ყველა საჭირო დანადგართა და ინსტრუმენტით) სადაც ავტობუსების სერვისის განხორციელება მწარმოებლის მიერ ლიცენზირებული პერსონალის მეშვეობით დადგენილი (რეკომენდირებული) ექსპლუატაციის, როგორც მიმდინარე ასევე ყოველდღიური/რეგულარული მომსახურების და რემონტის ინსტრუქციების (რეგლამენტის) სრული დაცვით. შემსყიდველის მოთხოვნებიდან და N1 ავტობუსის სერვისცენტრის მოსაწყობად გამოყოფილი შენობა-ნაგებობების მოწყობიდან არაუგვიანეს 60 კალენდარულ დღეში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სერვისცენტრის ავტორიზება/ლიცენზირება ავტობუსის მწარმოებლის მხრიდან.


7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 8.1. ავტობუსის გარანტიის მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ყველაწარმოული დეფექტის ან/და დაზიანების გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, იმ ავტობუს(ებ)ის ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით, რომლ(ებ)ზეც მოხდა ვადაგადაცილება.
- 8.2. ავტობუს(ებ)ის მიწოდების ვადის დარღვევისას, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული ავტობუს(ებ)ის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
- 8.3. სრული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, საგარანტიო შემთხვევაში ავტობუსის მუშა პროცესში დაზიანებისას, ხელშეკრულების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ტრანსპორტირების დროის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე ავტობუსის ღირებულების 0.01 პროცენტის ოდენობით.
- 8.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 8.1. - 8.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.002 პროცენტის ოდენობით.
- 8.5. ხელშეკრულების დარღვევისთვის გათვალისწინებული ნებისმიერი დაკისრებული სანქციის ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
- 8.6. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“



„მიმწოდებელი“
შპს „ჯი-თი გრუპ“

თემურ უსტიაშვილი
დირექტორი

არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით (სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერ საკითხზე შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ელექტრონული ფოსტის bus2021-2022@spa.gov.ge ან/და კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის ctd.spa.ge მეშვეობით.)

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- 9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა არის **532'250** (ხუთასოცდათორმეტი ათას ორასორმოცდაათი) ევრო.
- 9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადაა **2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით**.
- 9.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (სს საქართველოს ბანკის მიერ 2021 წლის 10 ივნისს გაცემული გარანტია №PE21959524-21).

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან **2022 წლის 31 მაისის ჩათვლით**, ხოლო საგარანტიო მომსახურებებთან (მათ შორის მათთან დაკავშირებულ საქციებთან) დაკავშირებით ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება საგარანტიო ვადების ამოწურვამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ, ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 11.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

- 12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
- 12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.
- 12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

13. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

- 13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე.
- 13.2. კონტროლის აქტში მითითებული უნდა იყოს აღმოჩენილი დეფექტი ან ნაკლი.
- 13.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო კავშირით შეატყობინოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს მისი აღმოფხვრა ან შეცვლა თავისი ხარჯით.
- 13.4. კონტროლის აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებსა და მოთხოვნებს, ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო შესაბამისობის შემთხვევაში - ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს შემსყიდველი.
- 13.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს
- 13.6. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ: №1 ავტობაზის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; №2 ავტობაზის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; №3 ავტობაზის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; №1 ავტობაზის უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის და სერვისის საკითხებში/მოვალეობის შემსრულებელი; №2 ავტობაზის უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის და სერვისის საკითხებში/მოვალეობის შემსრულებელი; №3 ავტობაზის უფროსის მოადგილე ექსპლუატაციის და სერვისის საკითხებში/მოვალეობის შემსრულებელი; ავტოსერვისცენტრის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის IT ქსელების და სისტემების განყოფილების IT ქსელებისა და სისტემების სპეციალისტი/მოვალეობის შემსრულებელი; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მომსახურების ჯგუფის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

გიორგი შარკვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ჯი-თი გრუპ“
თემურ უსტაშვილი
დირექტორი

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია დასაბუთებულად მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შემსყიდველის მიმართვის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, უფლებამოსილია იმსჯელოს კონკრეტული ხელშეკრულების ან/და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის თაობაზე.

14.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია მიმართოს გარანტს და მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების უზრუნველყოფის გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოთხოვა.

14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788

იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2

ტელ: (995 32) 2 93 50 50.

სს თბილისი ზანკი

ა/ა GE67TB7931836070100001; ზანკის კოდი: TBCBGE22

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი-თი გრუპ“

საიდენტიფიკაციო ნომერი: 200119923

იურიდ. მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №216

ტელ: (995) 2 74 07 40; 595 90 53 53

სს საქართველოს ზანკი

ა/ა GE43BG000000122211500; ზანკის კოდი: BAGAGE22

ელ.ფოსტა: info@gtgroup.ge; l.koberidze@gtgroup.ge

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
გორგი ზარკოვი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ჯი-თი გრუპ“
თემურ უსტიაშვილი
დირექტორი

35	გათბობა / კონდიციონირება (Heating / air conditioning)	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს მგზავრთა განყოფილების ინტეგრირებული გათბობა, კონდიციონირება და ვენტილაცია ჰაერის დაბრუნის მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს ავტობუსის მთლიან მოვლას სურჩევით ჰაერის თანაბარ განაწილებას, მშვილთა კაბინისა და მგზავრების განყოფილების გათბობას, კონდიციონირებას და ვენტილაციას ზედა განყოფილებაზე. ავტობუსის კონდიციონირება გათვალისწინებულია თბილისის ეკოლოგიური კლიმატის პირობებზე (15C - 45C).</p>	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს მგზავრთა განყოფილების ინტეგრირებული გათბობა, კონდიციონირება და ვენტილაცია ჰაერის დაბრუნის მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს ავტობუსის მთლიან მოვლას სურჩევით ჰაერის თანაბარ განაწილებას, მშვილთა კაბინისა და მგზავრების განყოფილების გათბობას, კონდიციონირებას და ვენტილაციას ზედა განყოფილებაზე. ავტობუსის კონდიციონირება გათვალისწინებულია თბილისის ეკოლოგიური კლიმატის პირობებზე (15C - 45C).</p>
36	საკაპრო სისტემა (Pneumatic system)	<p>საკაპრო სისტემის მართვა მთლიანად ავტომატურად უნდა იყოს ანტიკორბრუნული მასალისაგან. საკაპრო სისტემა აქტიურად უნდა იყოს კაბინისა და კონტეინერების ავტომატური მართვის სისტემის ნაწილი.</p>	<p>საკაპრო სისტემის მართვა მთლიანად ავტომატურად უნდა იყოს ანტიკორბრუნული მასალისაგან. საკაპრო სისტემა აქტიურად უნდა იყოს კაბინისა და კონტეინერების ავტომატური მართვის სისტემის ნაწილი.</p>
37	სიმაღლის დონის კონტროლის სისტემები (Level control systems)	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს დაბალი სიჩქარეზე მიწის დონისა და არანაკლებ 40 მმ-ით აწევრების სისტემა, უნდა ინტეგრირებული იქნას მართვის სისტემის დიაგნოზტიკურ ნაწილში.</p>	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს დაბალი სიჩქარეზე მიწის დონისა და არანაკლებ 40 მმ-ით აწევრების სისტემა, უნდა ინტეგრირებული იქნას მართვის სისტემის დიაგნოზტიკურ ნაწილში.</p>
38	საბუქირიკა აღმობრუნების ელემენტები (Towing elements)	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს საბუქირიკა კაპურის მოდერის ადგილი წინა და უკანა მხარეს.</p>	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს საბუქირიკა კაპურის მოდერის ადგილი წინა და უკანა მხარეს.</p>
39	აქვოს წერტილები (Lifting points)	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 4 (ოთხი) იოთხად მსაღობი - წერის წერტილი, აწევრება მიმდგრები ფანქრით.</p>	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 4 (ოთხი) იოთხად მსაღობი - წერის წერტილი, აწევრება მიმდგრები ფანქრით.</p>
40	ელექტრონული სისტემა (Electrical system)	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს 24 ვოლტზე მომუშავე ელექტრონული სისტემა. კონსტრუქციულად სრიალა ბუდეში მოთავსებული, ავტობუსური გამოწვევით აღჭურვილი, ორი, მუდმივად აქტიური, დიდი დაბალი ძაბვისა და სატარის ქსელის მიხედვით განთავსებული აღჭურვილი.</p>	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს 24 ვოლტზე მომუშავე ელექტრონული სისტემა. კონსტრუქციულად სრიალა ბუდეში მოთავსებული, ავტობუსური გამოწვევით აღჭურვილი, ორი, მუდმივად აქტიური, დიდი დაბალი ძაბვისა და სატარის ქსელის მიხედვით განთავსებული აღჭურვილი.</p>
41	პრევენციული აღჭურვილობა (Preventive equipment)	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს ძრავის განყოფილების ხანძარს შეზღუდვის სისტემა. ავტობუსის აღჭურვილი უნდა იყოს იოთხად ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებული, 2 (ორი) ცილინდრული, თითოეული წონა 5 კგ. საავარიო აღჭურვილობა. აღჭურვილობა უნდა იყოს ჩაქურჩული. ავტობუსის აღჭურვილი უნდა იყოს საკაპურის ავარიული მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე.</p>	<p>ავტობუსს უნდა გააჩნდეს ძრავის განყოფილების ხანძარს შეზღუდვის სისტემა. ავტობუსის აღჭურვილი უნდა იყოს იოთხად ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებული, 2 (ორი) ცილინდრული, თითოეული წონა 5 კგ. საავარიო აღჭურვილობა. აღჭურვილობა უნდა იყოს ჩაქურჩული. ავტობუსის აღჭურვილი უნდა იყოს საკაპურის ავარიული მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე.</p>
42	ტალახის დამკრავი ჯგუფი (Mud collectors)	<p>საბურავის თიხების გარე კოდეში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტალახის დამკრავი ჯგუფი, რათა შეამციროს ავტობუსის კვერდების ტალახისგან დაზარალება.</p>	<p>საბურავის თიხების გარე კოდეში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტალახის დამკრავი ჯგუფი, რათა შეამციროს ავტობუსის კვერდების ტალახისგან დაზარალება.</p>
43	საბურავის დამკრავი ნაწილები (Wheel covers)	<p>საბურავის ოთხეულ დამკრავი ნაწილებზე უნდა იყოს ქრომირებული ნაწილები (საბურავის დამკრავი ნაწილები).</p>	<p>საბურავის ოთხეულ დამკრავი ნაწილებზე უნდა იყოს ქრომირებული ნაწილები (საბურავის დამკრავი ნაწილები).</p>
44	საინფორმაციო სისტემა (Information System)	<p>ავტობუსის საინფორმაციო სისტემა უნდა მოიცავდეს მულტიმედია კომპონენტებს: მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპონენტებს (მგზავრების კომპონენტები) - საინფორმაციო დაფები (დანიშნულების დისკები) - ბუსის საინფორმაციო სისტემა (საინფორმაციო სისტემა) მულტიმედია კომპონენტების, გამაღვივებელი - ვიდეო მონიტორინგი (კამერები და დამოუკიდებელი ჩამწერი მიწვევით).</p>	<p>ავტობუსის საინფორმაციო სისტემა უნდა მოიცავდეს მულტიმედია კომპონენტებს: მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპონენტებს (მგზავრების კომპონენტები) - საინფორმაციო დაფები (დანიშნულების დისკები) - ბუსის საინფორმაციო სისტემა (საინფორმაციო სისტემა) მულტიმედია კომპონენტების, გამაღვივებელი - ვიდეო მონიტორინგი (კამერები და დამოუკიდებელი ჩამწერი მიწვევით).</p>
45	მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპონენტი (ICM) (ICM for Bus Information System)	<p>ავტობუსის საინფორმაციო სისტემა უნდა მოიცავდეს მულტიმედია კომპონენტებს: მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპონენტებს (მგზავრების კომპონენტები) - საინფორმაციო დაფები (დანიშნულების დისკები) - ბუსის საინფორმაციო სისტემა (საინფორმაციო სისტემა) მულტიმედია კომპონენტების, გამაღვივებელი - ვიდეო მონიტორინგი (კამერები და დამოუკიდებელი ჩამწერი მიწვევით).</p>	<p>ავტობუსის საინფორმაციო სისტემა უნდა მოიცავდეს მულტიმედია კომპონენტებს: მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპონენტებს (მგზავრების კომპონენტები) - საინფორმაციო დაფები (დანიშნულების დისკები) - ბუსის საინფორმაციო სისტემა (საინფორმაციო სისტემა) მულტიმედია კომპონენტების, გამაღვივებელი - ვიდეო მონიტორინგი (კამერები და დამოუკიდებელი ჩამწერი მიწვევით).</p>

<p>65</p> <p>დამატებითი გაცემლობა (გაბილეთაგების სისტემა და ავთენტიკაციის მხარდაჭერის) Supplementary wiring (Ticketing system and validators)</p>	<p>– ბილეთების საღარიბების დასამონტაჟებლად, თითოეული კარბის მატრიცის დასამონტაჟებლად, ბილეთის მისაქმედ მიღების განთავსებული უნდა იყოს კაბელები (ქსელისა და უკაბელო) საღარიბების დასამონტაჟებლად, ბილეთის მისაქმედ მიღების კომპლექსიონარში მოჭრება უნდა მოხდეს სპეციალური გარსარების მექანიზმით. ბილეთის საღარიბების ზომების დასამონტაჟებლად ადგილებს, კაბელების დაბლოკებისასთან განკუთვნილი გარსარების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების გადასაცემს მუშაობს.</p> <p>საღარიბების მუშაობა არ მოახდენს კაბელებს და არ იქნება დამოკიდებული მოდარსი ელექტრონული სისტემის სტატუსზე ფუნქციონირებაზე. გადამდის სისტემისთვის უნდა იყოს გამოყოფილი დამატებითი ავტომატის გათვალისწინებული ადგილები. ამოღების 30 წუთის განმავლობაში უზრუნველყოფის კვების მიწოდება. (სისტემა მოიხმარებს 1.5AH, 24V DC)</p> <p>დამატებითი გაცემლობის სტეპს დამატებული უნდა იყოს მუშაობის მიერ ავტომატის კარბების დაწყებაზე</p>	<p>– ბილეთების საღარიბების დასამონტაჟებლად, თითოეული კარბის მატრიცის დასამონტაჟებლად, ბილეთის მისაქმედ მიღების განთავსებული უნდა იყოს კაბელები (ქსელისა და უკაბელო) საღარიბების დასამონტაჟებლად, ბილეთის მისაქმედ მიღების კომპლექსიონარში მოჭრება უნდა მოხდეს სპეციალური გარსარების მექანიზმით. ბილეთის საღარიბების ზომების დასამონტაჟებლად ადგილებს, კაბელების დაბლოკებისასთან განკუთვნილი გარსარების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების გადასაცემს მუშაობს და არ იქნება დამოკიდებული მოდარსი ელექტრონული სისტემის სტატუსზე ფუნქციონირებაზე. გადამდის სისტემისთვის უნდა იყოს გამოყოფილი დამატებითი ავტომატის გათვალისწინებული ადგილები. ამოღების 30 წუთის განმავლობაში უზრუნველყოფის კვების მიწოდება. (სისტემა მოიხმარებს 1.5AH, 24V DC)</p> <p>დამატებითი გაცემლობის სტეპს დამატებული უნდა იყოს მუშაობის მიერ ავტომატის კარბების დაწყებაზე</p>
<p>66</p> <p>ზოგადი მოთხოვნების ვალიდაციის სისტემა (Ticket validation system)</p>	<p>ავტომატის პარკის კვიპროტატივს ხორციელდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში მუშაობის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმით, რომლის სრულყოფილი და უწყვეტი მუშაობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ავტომატის არსებულ საინფორმაციო სისტემებთან კავშირი მათი მექანიზმების მონიტორინგისა და მართვისათვის.</p> <p>ამ მოხერხებების, მიმწოდებელი ვალდებულია ავტომატის კარბების დაწყებამდე (საინფორმაციო სისტემის არქიტექტურისა და მის მიწოდებასთან დაკავშირებული დეტალები მუშაობის დასაწყისის შემდეგ) წარმოადგინოს ყველა ის საკომუნიკაციო პროტოკოლი ან/და ტექნიკური დოკუმენტაცია რაც საჭიროა ავტომატის საინფორმაციო სისტემებთან გამოყენებული მოწყობილობების (კომპონენტების) ინტეგრაციისთვის უზრუნველყოფის უწყობის სატრანსპორტო სისტემაში. (გარდა ყველა საჭირო დოკუმენტაციის სისტემისა)</p> <p>მიმწოდებელი ვალდებულია ავტომატის პროექტის დასრულების შემდეგ 60 დღით ადრე გადასცეს მუშაობის დასრულების დასაწყისის დასაწყისის (დოკუმენტის) და მათი საშინაო მოწყობილობის (კომპონენტების) კომპლექსი</p> <ul style="list-style-type: none"> • მგზავრობა განყოფილებისთვის განკუთვნილი LCD მონიტორი 1 ცალი. <p>საინფორმაციო სისტემის აღნიშნული კომპონენტების სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციის დასრულების შემდეგ მუშაობის დასაწყისის მიმწოდებელს გადასცემულ მოწყობილობებს.</p>	<p>მიმწოდებელი ვალდებულია ავტომატის კარბების დაწყებამდე (საინფორმაციო სისტემის არქიტექტურისა და მის მიწოდებასთან დაკავშირებული დეტალები მუშაობის დასაწყისის შემდეგ) წარმოადგინოს ყველა ის საკომუნიკაციო პროტოკოლი ან/და ტექნიკური დოკუმენტაცია რაც საჭიროა ავტომატის საინფორმაციო სისტემებთან გამოყენებული მოწყობილობების (კომპონენტების) ინტეგრაციისთვის უზრუნველყოფის უწყობის სატრანსპორტო სისტემაში. (გარდა ყველა საჭირო დოკუმენტაციის სისტემისა)</p> <p>მიმწოდებელი ვალდებულია ავტომატის პროექტის დასრულების შემდეგ 60 დღით ადრე გადასცეს მუშაობის დასაწყისის დასაწყისის (დოკუმენტის) და მათი საშინაო მოწყობილობის (კომპონენტების) კომპლექსი</p> <ul style="list-style-type: none"> • მგზავრობა განყოფილებისთვის განკუთვნილი LCD მონიტორი 1 ცალი. <p>საინფორმაციო სისტემის აღნიშნული კომპონენტების სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციის დასრულების შემდეგ მუშაობის დასაწყისის მიმწოდებელს გადასცემულ მოწყობილობებს.</p>

GT GROUP Digitally signed
 by GT GROUP LLC
 Date: 2021.06.04
 11:14:23 +04'00'

N	საგარანტო პირობები			პრეტენდენტის მიერ შესავსება ინფორმაცია
1	სრული გარანტია მთლიან ავტობუსზე (Full warranty for the whole bus)	სრული გარანტია ავტობუსზე არანაკლებ 200 000 კმ გარბენი ან არანაკლებ 24 თვე (რომელიც ადრე დადგება), ათვლუბა ავტობუსის მიღების თარიღიდან	სრული გარანტია ავტობუსზე არანაკლებ 200 000 კმ გარბენი ან არანაკლებ 24 თვე (რომელიც ადრე დადგება), ათვლუბა ავტობუსის მიღების თარიღიდან	სრული გარანტია ავტობუსზე 200 000 კმ გარბენი ან 24 თვე (რომელიც ადრე დადგება), ათვლუბა ავტობუსის მიღების თარიღიდან
2	ძარა - Body	ძარა - (მათ შორის: ავტობუსის როფორგ გარეთა ისე შიგნითა მხარე, ჩარჩოები, შასი, კარკასები, ზორბლების თაღები, გრძივი და განივი ძელები, სხვადასხვა დეტალები, კვანძების და აგრეგატების სამაგრი ადგილები) დაცული უნდა იყოს კოროზიისგან და ზზარებისგან, ანონშნულ ნაწილებზე არ უნდა განეითარდეს თუნდაც მცირედი კოროზია.	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 6 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 6 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
3	იატაკი (Floor structure)	იატაკის კონსტრუქცია გარეიდან და შიგნიდან, ანონშნულ ნაწილებზე არ უნდა განეითარდეს თუნდაც მცირედი კოროზია.	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 6 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 6 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
4	საბერო განაწილების სისტემა (Air distribution system hoses, as well as engine cooling system tubes)	ჰაერის განაწილების სისტემის შლანგები, ასევე ძრავის გაგრილების სისტემის მილები და რადიატორი	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
5	დიზელის ძრავი (Diesel Engine)	დიზელის ძრავი (ძრავის სრული კომპლექტაციით) Diesel Engine (including all engine attachments)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
6	ავტომატური გადაცემათა კოლოფი (Automatic Transmission)	ავტომატური გადაცემათა კოლოფი (სრული კომპლექტაციით)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
7	საჭის მექანიზმი -	საჭის მექანიზმი, რომელიც ასევე მოიცავს შტურვალის კავშირის სისტემას და ჰიდრაულიკის გამამლიერებელს	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
8	საინფორმაციო სისტემა	საინფორმაციო სისტემები: LCD-მონიტორი, აუდიო-საინფორმაციო სისტემა, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, WIFI-სისტემა.	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა

9	ელექტრო მოწყობილობები	ხელსაწყოების კანელი, სინათლის და განგაშის სისტემა, განათების კონტენტრატორები (ნათურები და მამუქი ფარები)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 3 წლიანი გარანტია
10	სავარძლები	სავარძლების ჩარჩო და ხელის მოსაკიდებლების შეფუთვა (მათ შორის კორიზიის ნიშნები)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 6 წელიწადი გარანტია	ავტობუსის მიღებიდან 6 წელიწადი გარანტია
11	სავარძლებზე გადაკრული მასალა (Seat upholstery)	სავარძლებზე გადაკრული მასალა	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია
12	საღებავისა და ლაქის საფარი	საღებავისა და ლაქის საფარის მდგრადობა ამინდზე და სარემონტო ჯავრისგან	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
13	ბატარები	24 ვოლტიანი ბიორტ ელექტროგადამცემი ბატარეები	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 2 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 2 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
14	ჰნემატური მუხრუჭი (Pneumatic suspension)	ჰნემატური მუხრუჭი (სრული კომპლექტაციით)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა	ავტობუსის მიღებიდან 3 წლიანი გარანტია მიუხედავად გარბენისა
15	ელექტრო სისტემა (Electrical installation)	ელექტრო სისტემა (სრული კომპლექტაციით)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია
16	კარის გაღება-დაკეტვის სისტემა (Door systems)	კარის გაღება-დაკეტვის სისტემა (სრული კომპლექტაციით)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია
17	სავალი ნაწილი	წინი და უკანა დაკიდება (წინა და უკანა ლერძის სრული კომპლექტაციით)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 5 წლიანი გარანტია	ავტობუსის მიღებიდან 5 წლიანი გარანტია
18	საბურავები	საბურავები (ურბანული საცობის პირობებში, გარდა მისი მექანიკური დაზიანებისა)	არანაკლებ 120000 კმ გარბენი	120000 კმ გარბენი
19	ციფრული მარშრუტის მაჩვენებლები (Digital route number displays)	ციფრული მარშრუტის მაჩვენებლები (სრული კომპლექტაციით)	ავტობუსის მიღებიდან არანაკლებ 6 წლიანი გარანტია	ავტობუსის მიღებიდან 6 წლიანი გარანტია

20	გარანტია სათადარიგო ნაწილების ქონაზე და მიწოდებაზე (Warranty of stock and supply of spare parts)	სათადარიგო ნაწილების ქონა და მიწოდება	ავტობუსის მოღებვიდან არანაკლებ 10 წლიანი გარანტია	ავტობუსის მოღებვიდან 10 წლიანი გარანტია
----	--	---------------------------------------	---	---

GT GROUP
LLC
Digitally signed
by GT GROUP LLC
Date: 2021.05.31
10:55:54 +04'00'



ქ. თბილისი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
 გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
 გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
 პრინციპალი: შპს ჯი თი გრუპ(შემდგომში „პრინციპალი“)
 პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 200119923
 პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #216
 ბენეფიციარი: შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია (შემდგომში „ბენეფიციარი“)
 ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788
 ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, ვაგბლის მოედანი, ნომერი: 2
 საგარანტო თანხა: 532,250 (ხუთას ოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდაათი და 00/100) ევრო
 ტენდერის უნიკალური ნომერი: CON210000330

შხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა M3 კატეგორიის 180 (ასოთხმოცი) საქალაქო ავტობუსის მიწოდების და მათი გეგმიური ფლობის მომსახურების განწევის მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ ვავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 532,250.00 (ხუთას ოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდაათი და 00/100) ევრო და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად. საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჭაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 31 ივლისი 2022 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის ორგანიზალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრაბის სტრუქტურული დაფინანსების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით. შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება/მცირდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;

გარანტის მიზარა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე, საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

